„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031694) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის ქუჩა №90-ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის ქუჩა №90-ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის ქუჩა №90-ა

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

სრულად უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/გადახედვის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სკოლის ფილოსოფიის განხილვა სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სრულად უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის უზრუნველყოფის აქტივობების

განხორციელება მითითებულ ვადებში. კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმა დაამტკიცოს მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული

განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს N 1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულება - 2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%. სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მითითებულ ვადებში უზრუნველყოს, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნებოდეს სტრატეგიულ გეგმას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შიშის შექმნა შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი). სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მითითებულ ვადებში (2028 წლის მაისი) უზრუნველყოფს სკოლის შენობაში ლიფტის ან პანდუსის დამონტაჟება.

განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა.

5. სსიპ - ქალაქ თეთრიწყაროს №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თეთრიწყაროს №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14 და 15 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითმეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას არსებული მატერიალური რესურსიდან გამომდინარე შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია მხოლოდ 400 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძე აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, სკოლაში მოწვეული მასწავლებლის სათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ კითხვას პასუხი გასცა ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ და აღნიშნა, რომ მოწვეული მასწავლებლის სათობრივი დატვირთვა ცხრა საათს არ აღემატებოდა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა მესამე სტანდარტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების

მიმდინარეობით. სკოლის წარმომადგენელმა, მერაბ კობახიძემ, აღნიშნა რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა გაცემული რეკომენდაციების სრულად შესრულებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ თეთრიწყაროს №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:04

დასრულების დრო - 16:20

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27 -ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თეთრიწყაროს №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 230866328) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თეთრიწყარო, დიდგორის ქ. №8
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თეთრიწყარო, დიდგორის ქ. №8
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თეთრიწყარო, დიდგორის ქ. №8

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით :

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის სექტემბრიდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

6. სსიპ - ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა კაცაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 220. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 220 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნანა კაცაძემ აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:22

დასრულების დრო - 16:35

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 234067933) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლენტეხი, თამარ მეფის N 32
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლენტეხი, თამარ მეფის N 32
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლენტეხი, თამარ მეფის N 32

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.06.26-15.09..26) აიყვანოს კვალიფიცირებული კადრი. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და მისი შეთანხმება უფლებამოსილ სამსახურთან. ასევე, სრულად იქნას დაცული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში წარადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, გაცემულს კომპეტენტური ორგანოს მიერ, სკოლის ბაზაზე არსებული წიგნადი ფონდი დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესით. დაწყებითი საფეხურის, სპორტის და სპეც.მასწავლებლის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადება. მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შეუვსებლობის შემთხვევაში 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში საათები გადანაწილდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებზე.

7. სიპ - ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სიპ - ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითმეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1750. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1750 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, დავით კახიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰყავს თუ არა სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი არ ჰყავდა.

საბჭოს წევრმა კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტს და დააზუსტა კურიკულუმის ფარგლებში გაცემული რჩევების შესრულების საკითხი. ექსპერტმა, მზია კიპარიძემ აღნიშნა, რომ გაცემული რჩევები მასწავლებლებმა სრულად გაითვალისწინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სიპ - ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1750-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:40

დასრულების დრო - 16:55

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სიპ - ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლას (ს/კ: 208145899) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1750-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, თრიალეთის ქუჩა N7
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, თრიალეთის ქუჩა N7
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, , თრიალეთის ქუჩა N7

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2027 წლის 9 თებერვლის ჩათვლით) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების

შესახებ დასკვნა. სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (25.02.2028 წ.) დაამონტაჟოს ლიფტი, რათა შშმ მოსწავლეებმა შეძლონ სართულებზე გადაადგილება. სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (22.05.2027 წ.) უზრუნველყოს ლაბორატორიის სველი წერტილით, გამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით აღჭურვა.

8. სიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარებაში და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის პროგრამას ქართულ ენაზე, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩრდილისუბანში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 130. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 130 მოსწავლისთვის.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, რამდენად რეალისტური იყო სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის (პანდუსის მოწყობა სოფელ ჩრდილისუბანის შენობისთვის) შესრულება, 2026 წლის 15 სექტემბრამდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი იყო აქტიური და ყველანაირ რესურსს გამოიყენებდა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის ვადაში შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, კითხვით მიმართა სკოლას და დააზუსტა, იყო თუ არა შესრულებული შესაბამისობის გეგმაში 2026 წლის 30 მაისამდე შესასრულებლად გაწერილი აქტივობა — საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმება. სკოლის დირექტორმა, გიორგი პაპიძემ, აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ორივე შენობისთვის, შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის საფუძველზე, შეთანხმებული იქნებოდა 2026 წლის 15 სექტემბრამდე. გიორგი პაპიძემ ასევე აღნიშნა, რომ ჩრდილისუბანის შენობისთვის პანდუსი ნამდვილად მოეწყობოდა 2026 წლის 15 სექტემბრამდე, რისთვისაც სკოლა ფლობდა შესაბამის რესურსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:57

დასრულების დრო - 17:16

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლას (ს/კ: 243121233) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩრდილისუბანი, 1-ელი ქუჩა N22; წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხარება, 1-ელი ქუჩა N42
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხარება, 1-ელი ქუჩა N42
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხარება, 1-ელი ქუჩა N42

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თავი II/1, მუხლი 21/3). ასევე უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება. შეათხზოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან. მოაწყოს პანდუსი ჩრდილისუბნის შენობისთვის. 2027 წლის იანვარში დაასაქმოს ექიმი/ექთანა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას გაუწევს სასკოლო საზოგადოებას. მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (ორივე შენობისთვის). მოიპოვოს უფლებამოსილი უწყების

მიერ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ზემოაღნიშნულის შესრულების მტკიცებულებები წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხისგანხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 29 და 30 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, ექსპერტს მიმართა კითხვით, თუ იყო სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა და ასევე, დაინტერესდა სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციით. ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მცირე აღჭურვილობა და აღნიშნულის თაობაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ექსპერტის მიერ გაცემულ იქნა რჩევაც. ექსპერტმა, ასევე განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს .

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ირიცხებოდა თუ არა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მოცემული ეტაპისთვის არ ირიცხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:20

დასრულების დრო - 17:35

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლას (ს/კ: 229726446) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2028 წლის მაისში სკოლის შენობაში ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულებებისა და უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10. სსიპ - გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N182 საჯარო სკოლის

ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N182 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 04 და 05 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1800 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N182 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:40

დასრულების დრო - 17:58

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გოგიტა კვიციანი სახელობის ქალაქ თბილისის N182 საჯარო სკოლას (ს/კ: 208142687) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ვარკეთილი ზ/პ, მეორე მ/რ.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ვარკეთილი ზ/პ, მეორე მ/რ.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ვარკეთილი ზ/პ, მეორე მ/რ.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის იანვარში შენობის საინჟინრო-კონსტრუქციული მდგრადობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის, ასევე, 2028 წლის თებერვალში ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის, პანდუსი/ლიფტის მოწყობის მტკიცებულებების, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:59 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
 საბჭოს მდივანი
 ბერიკაშვილი ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ე. წიფური

